

"არა ნამოხვანჰესს"- ქუთაისში აქცია გაიმართა

სიახლეები - 2018-03-14 12:32:00



ნამოხვან ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ ქუთაისში აქცია გაიმართა.

მოქალაქეების პროექტის შეჩერებას მოითხოვენ. მათი განცხადებით, დიდი სიმძლავრის ჰესები პრობლემას უქმნის არა მხოლოდ ლეჩხუმს, არამედ ქუთაისს და მთელს რეგიონს.

"გადავარჩინოთ ქუთაისი და რეგიონი საფრთხისგან. დიდ ჰესები საფრთხეს უქმნის მთელს რეგიონს, ამიტომ მოვითხოვთ, არ მოხდეს მშენებლობა. დღეს მდინარეების დაცვის საერთაშორისო დღეს სპეციალურად შევიკრიბეთ, რადგან გავაპროტესტოთ პროექტი. ქუთაისიდან 25 კილომომენტში შენდება ჰესი, რაც ნიშნავს 11 სოფლის განადგურებას და ძალიან დიდი საშიშროების ქვეშ ექცევა ქუთაისი. ეს არის არამდგრადი ტერიტორია და შეუძლებელია აქ მშენებლობა", - განაცხადა მალხაზ მურუსიძემ.

მოქალაქეებს არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები შეუერთდნენ.



ავტორი: ნესტან ჩაგელიშვილი